პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 25 მარტი, 1989 წელი ● № 13 (3093) ● СУББОТА, 25 МАРТА 1989 г.

## 26 მარტს გაიმართება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები

გააუმჯობესონ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის ხარისხი, გააქტიურონ ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ ქვეყანაში, უზრუნველყონ სამართალდამცავი ორგანოების, უწინარეს ყოვლისა, მილიციის მუშაკთა სამართლებრივი დაცულობა.

(წინასაარჩევნო კრებებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა მიმართ გამოთქმული განაწესებიდან).

## В ПРЕДДВЕРИИ ВЫБОРОВ

НА ДНЯХ в Болнисском РОВД состоялась встреча сотрудников райотдела с кандидатом в народные депутаты СССР Шалико Джамал-оглы Алиевым, электроаппаратчиком Марнеульского завода нерудных материалов производственного объединения «Грузнеруд».

Встречу вступительным словом открыл заместитель начальника РОВД по политической части майор милиции А. Султанов, который ознакомил сотрудников с трудовой биографией кандидата.

«Я постараюсь оправдать доверие и надежды моего коллектива, — сказал, выступая перед собравшимися, Ш. Алиев, — если буду избран депутатом, то отдам все силы для выполнения задач перестройки социально - экономической жизни моего района, всей нашей республики».

## ნდობით აღჭურვილი პირი

ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოში ისევე, როგორც მთელ ქვეყანაში, დიდი ინტერესით ხვდებიან სახალხო დეპუტატების არჩევნებს. სულ ახლახან სამმართველოში შეხვედრა მოეწყვეს სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის, საკავშირო სპორტსაზოგადოება „დინამოს" თავმჯდომარის მოადგილის, გენერალ-მაიორ ვ. სისოევის ნდობით აღჭურვილ პირს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვიქტორ სანეევს.

ვ. სანეევმა ისაუბრა იმ დიდ ცხოვრებისეულ გზაზე, რომელიც ვ. სისოევმა განვლო, ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის საზოგადოებრივ და სამსახურებრივ შრომით საქმიანობაზე, რომელსაც ამჟამად იგი ეწევა საბჭოთა სპორტის საკეთილდღეოდ.



შეხვედრის მონაწილეებმა მრავალი შეკითხვა დაუსვეს სტუმარს, რომელიც ეხებოდა, როგორც დეპუტატობის კანდიდატის მოღვაწეობას, ასევე ნდობით აღჭურვილი პირის, ვ. სანეევის ყოველდღიურ საქმიანობას.

## Заседание редакционного Совета МВД ГССР

23 МАРТА состоялось заседание редакционного Совета МВД ГССР, которое провел председатель Совета, заместитель начальника политического отдела министерства полковник милиции Л. Горгодзе.

На совещании были рассмотрены вопросы дальнейшего укрепления взаимодействия органов внутренних дел и средств массовой информации республики, утвержден график (на II квартал текущего года) публикаций материалов из отраслевых служб министерства в республиканской печати.

На заседании старший инструктор пресс-группы политотдела МВД ГССР старший лейтенант милиции С. Мамаладзе проинформировал членов редакционного Совета о создании внештатного Совета журналистов при МВД ГССР в целях активного привлечения представителей прессы к освещению проблем, связанных с деятельностью органов внутренних дел, укреплением совместных контактов и выходов на общественность.

## რუსთაველის საზოგადოების ყრილობა



გაიმართა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგში იყო საკითხები: საზოგადოების მუშაობის შედეგების განხილვა, საზოგადოების წესდების დამტკიცება, მისი ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ, საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის სახელით გააკეთა პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ცისკარიშვილმა.

პირველსავე სხდომაზე სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარედ ღია კენჭისყრით აირჩიეს ა. ბაქრაძე, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ყრილობამ გადაწყვიტა საზოგადოების წესდება საბოლოო სახით დაამტკიცოს და მისი ხელმძღვანელი ორგანოები აირჩიოს მოგვიანებით.

## სხვადასხვა ინფორმაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „მოკავშირე რესპუბლიკებში მათი სუვერენული უფლებების, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების გაფართოების საფუძველზე ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის გარდაქმნის ზოგადი პრინციპების პროექტის შესახებ".

* * *

16 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ტრადიციული ბრიფინგი. შეკრებილთ გააცნეს ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ბოლო პერიოდისა და მკვლელობის გარემოებათა შემსწავლელი კომისიის მუშაობა.

მასალების შესწავლის დროს უკვე გამოიკვეთა ილია ჭავჭავაძის დაღუპვის გარემოებათა რამდენიმე ვერსია. დასახულია, რომ ყველა ამ ვერსიის მიხედვით მოეწყოს საჯარო დისკუსიები საზოგადოებრიობის მონაწილეობით...

* * *

მიწათსარგებლობაში არსებული წესების დარღვევის ლიკვიდაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა რესპუბლიკური კომისიის გაფართოებული სხდომა. სხდომაზე განიხილეს გარდაბნის, მარნეულის, ყვარლის, ლაგოდეხის, გორის, კასპის, ცხინვალის რაიონების ტერიტორიაზე მიწის კანონმდებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების დაცვის შემოწმების შედეგები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ აღნიშნულ რაიონებში ადგილი აქვს დარღვევათა მრავალრიცხოვან ფაქტებს. გამოვლენილ შემთხვევებს თავის გამოსვლაში მკაცრი შეფასება მისცეს კომისიის წევრებმა, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრმა, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტმა შ. გორგოძემ.

კომისიამ გადაწყვიტა, რომ დარღვევათა საკითხი განსახილველად გადაეცეს შესაბამის პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებს.

(უახლოეს ნომერში ჩვენი გაზეთის რედაქცია მკითხველებს გააცნობს აღნიშნული დარღვევებისა და მისი გამომწვევი მიზეზების კონკრეტულ ფაქტებს).

## ВСТРЕЧА В МЕДОТДЕЛЕ МВД ГССР

## С заботой и вниманием

НЕМАЛО суровых испытаний пришлось выдержать воинам - интернационалистам за годы службы в составе ограниченного контингента советских войск в Афганистане. Поэтому и отношение к ним советских людей особенно чуткое. Это еще раз наглядно проявилось во время состоявшейся на днях встречи «афганцев» — сотрудников органов внутренних дел республики с руководством медотдела МВД ГССР.

На встрече были обсуждены проблемы обеспечения этой категории сотрудников МВД республики качественным медицинским обслуживанием, другие наболевшие вопросы.

Встречу вступительным словом открыл начальник медотдела МВД ГССР майор внутренней службы Г. Абесадзе. Затем заместитель начальника медотдела министерства, капитан внут-

(Окончание на 2й стр.).





НА СНИМКАХ: начальник поликлиники Т. Читая; беседа во время встречи.

## На «летнее» время

ГОСУДАРСТВЕННАЯ комиссия единого времени и эталонных частот СССР сообщает, что в воскресенье, 26 марта 1989 года на территории Советского Союза вводится «летнее» время.

Переход на «летнее» время производится в 2 часа 26 марта переводом часовой стрелки на 1 час вперед.

# „ყველაზე დიდი დაბრკოლება...“

**დიდთოვლობაა** აჭარის მთიანეთში. შუახევის რაიონის ცენტრში ცოტა ხნის წინ თოვლის საფარმა სამ მეტრს მიაღწია, ხოლო რაიონიდან ყველაზე მოშორებულ სოფლებში: ნაღვარევში, ბრილში, მაწყვალთაში, ვანში, შუბანში ოთხ მეტრს გადააჭარბა. ბუნებრივია ასეთ ვითარებაში ხიფათი ყოველ ნაბიჯზე იყო ჩასაფრებული. სასოფლო საბჭოს ცენტრში მისასვლელი გზები ჩაიკეტა, ხოლო ცენტრალური საავტომობილო გზის მაგისტრალი, შუახევ-ბათუმის მიმართულების ერთ ადგილას ძალზე რთული გასავლელი იყო მგზავრებისათვის. გზებზე ჩამოდიოდა ზვავები, ამას ემატებოდა გზების მოყინვა და სხვა გაუთვალისწინებელი ვითარება.

ასეთ პირობებში უნარიანად მოქმედებდა ავტოინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი მიხეილ აბუსელიძე. ამ ხნის მანძილზე მას უკვე ამ უბანზე საქმიანობის სათანადო გამოცდილებაც დაუგროვდა და იცის როდის რა უნდა აკეთოს. მთავარი მიზანი მაინც ერთი გახლავთ — ავტომობილებმა უსაფრთხოდ იმოძრაონ, თავიდან აიცილონ მოსალოდნელი ხიფათი. ამისათვის მიხეილი საგულდაგულოდ ამოწმებდა ავტომობილების ტექნიკურ გამართულობას, სამუხრუჭე მექანიზმებს, ავტოსაბურავებს, არც ერთ დეტალს არ ტოვებდა ყურადღების გარეშე, ამიტომაც დიდთოვლობის პერიოდში მის საზედამხედველო მონაკვეთზე არ ჰქონია ადგილი მძიმე საავტომობილო შემთხვევას.

მძღოლები ხუმრობით ამბობდნენ გზებზე ყველაზე დიდი დაბრკოლება მიხეილ აბუსელიძეაო. იგი ხომ ავტომანქანის უმნიშვნელო გაუმართაობის შემთხვევაშიც კი მძღოლს მოძრაობის უფლებას არ აძლევდა. მარტო გზები და გზაჯვარედინები როდია მ. აბუსელიძის ყურადღების ქვეშ, მას ხშირად ნახავდით იქ, სადაც ყველაზე მეტად ჰქირდა. ზვავსაშიში ზონებიდან გასვლაში ეხმარებოდა მოსახლეობას, შორეული სოფლიდან ავადმყოფის გადაყვანაც ბევრჯერ მისი საზრუნავი გამხდარა. აჭარის მთიანეთში ახლაც რთული ვითარებაა და ავტოინსპექტორიც პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას. ამიტომაც უყვართ, პატივს სცემენ და ეიმედებათ ადამიანებს მილიციის უფროსი ლეიტენანტის მ. აბუსელიძის.

**ა. აბუხელიძე,**
**შუახევის რაიონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მილიციის მაიორი.**

* * *

**სურათზე:** მ. აბუსელიძე ზვავსაშიში ზონის ერთ-ერთ მონაკვეთზე.



В номере нашей газеты от 4 марта нынешнего года под рубрикой «Обсуждаем проблему» было напечатано письмо начальника ХОЗО МВД Абхазской АССР подполковника милиции П. Логуа, в котором речь шла о необходимости, по мнению автора, изменений в организационно-штатной структуре ряда служб МВД автономной республики. Ниже публикуется полученный на днях редакцией ответ руководства УК МВД ГССР, в котором даются разъяснения по затронутым вопросам.

# УЧИТЫВАТЬ РЕАЛЬНОЕ ПОЛОЖЕНИЕ ДЕЛ

**ОПУБЛИКОВАННЫЙ** в газете «Боевой страж» материал под заголовком «Решать наболевшие вопросы» был со всем вниманием изучен и проанализирован в Управлении кадров МВД ГССР. Полностью разделяя позицию автора письма в отношении необходимости гласного решения имеющихся проблем, хотелось бы отметить, что из-за недостаточной компетентности т. П. Логуа в вопросах организационно-штатной структуры в письме имеется ряд существенных неточностей, вопросы сформулированы недостаточно корректно, без учета реальной обстановки и предъявляемых на сегодняшний день требований.

Как известно, в ходе осуществляемой в стране перестройки партия и правительство проводят курс на сокращение раздутых управленческих аппаратов, что, естественно, затрагивает и систему органов внутренних дел. Следует также учитывать тот факт, что министерство внутренних дел республики с начала нынешнего года перешло на хозрасчет, что также диктует необходимость определенного сокращения и удешевления управленческого аппарата в соответствии с постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР.

Именно этими соображениями и определяющими директивными указаниями МВД СССР руководствовалось Управление кадров МВД ГССР при подготовке ответа на ходатайство МВД Абхазской АССР о рассмотрении ряда вопросов, касающихся структурных изменений министерства, увеличения численности аппарата, обслуживающего персонала, охраны и подразделений в горрайорганах. Вопреки утверждению т. П. Логуа, письмо было своевременно рассмотрено, и в октябре прошлого года в МВД автономной республики был послан исчерпывающий ответ на просьбу, в частности, об увеличении численности милиционеров по охране здания МВД Абхазской АССР, введении должности заведующего складом ХОЗО и специалистов автохозяйства.

Приходится констатировать, что т. П. Логуа недостаточно хорошо ознакомился с письмом УК МВД ГССР, в котором даны обстоятельные и аргументированные ответы на все волнующие его вопросы. Тем не менее для него и для читателей газеты можем, отвечая одновременно на поставленные в письме П. Логуа вопросы, повторить, что:

**— утверждение, что «сокращение и удешевление службы ХОЗО здесь не подходит» неверно, поскольку не учитывается разница между аппаратом управления ХОЗО и обслуживающим персоналом ХОЗО, что приводит к неправильной постановке вопросов, поднятых в письме;**

**— штат ХОЗО МВД Абхазской АССР определен соответствующим приказом МВД СССР в количестве 5 единиц, а не 43, как указывается в письме;**

**— автохозяйство ХОЗО МВД Абхазской АССР насчитывает 9 единиц автотранспортных средств, а приведенная и кстати весьма завышенная цифра 340 относится к автотранспорту, приписанному ко всем горрайорганам МВД автономной республики;**

**— отделение капитального строительства представлено самостоятельно только аттестованной должностью начальника, исходя из задач по выполнению объема капитального ремонта и хозрасчетных договоров;**

**— должность и оклад начальника ФПО МВД Абхазской ССР установлены из расчета численности отдела и централизованной бухгалтерии;**

**— единица заместителя командира спецподразделения по технике службы ДПС предусмотрена для организации работы радиотехнической аппаратуры, связи и автотранспорта непосредственно в подразделении и содержится за счет численности инспекторов ДПС в соответствии с приказом МВД СССР;**

**— во всех указанных случаях расчет численности, установка предельных званий и должностных окладов специалистов производится по нормативам, установленным постановлениями Совета Министров и Госплана СССР применительно к органам МВД.**

Следует также отметить, что в соответствии с приказом МВД СССР в настоящее время министрам внутренних дел автономных республик предоставлено право на местах самостоятельно решать организационно-штатные вопросы в пределах выделенных фондов и численности и с учетом оперативной обстановки.

**А. ДЖАШИ,**
**подполковник внутренней службы, заместитель начальника УК МВД ГССР.**

# С заботой и вниманием

(ОКОНЧАНИЕ)

ренней службы Т. Читая ознакомил бывших воинов-интернационалистов с постановлениями ЦК КПСС и Совета Министров СССР, в соответствии с которыми для них предусмотрены льготы.

Перед собравшимися выступили и ответили на вопросы помощник начальника политического отдела МВД ГССР по работе среди комсомольцев, старший лейтенант милиции В. Чинчараули, врач Н. Кодуа, заместитель начальника госпиталя медотдела майор внутренней службы Г. Скляренко.

Свое лирическое произведение, посвященное воинам-интернационалистам, прочитала на встрече тепло встреченная «афганцами» медрегистратор ВВК МВД ГССР Н. Лобова.

Выступивший от имени воинов - интернационалистов милиционер подразделения по охране гособъектов и учреждений УВД Тбилгорисполкома младший сержант милиции Т. Ростиашвили высказал пожелание, чтобы подобные встречи стали традиционными, способствовали успешному и качественному решению вопросов, связанных с лечением «афганцев», улучшением их жилищно-бытовых условий, дальнейшей учебы.

**А. МАЛАЦИДЗЕ.**

# СОВЕТСКАЯ МИЛИЦИЯ

**ВЫШЕЛ в свет второй в нынешнем году номер журнала «Советская милиция». Он открывается материалом «Когда дрогнула земля...», в котором рассказывается о самоотверженных действиях сотрудников органов внутренних дел страны в пострадавших от землетрясения районах Армении.**

**70-летию транспортной милиции посвящены статья начальника Главного управления внутренних дел на транспорте генерал-лейтенанта внутренней службы В. Свистунова «На магистралях перестройки», фоторепортаж о работе коллектива ЛОВД на ст. Тула и другие материалы. Ко Дню Советской Армии и Военно-Морского Флота в номере опубликованы очерк о ветеране войны Л. Булгакове «Имя собственное», а также подборка стихов сотрудников милиции.**

**О проблемах формирования социалистического правового государства рассказывается в опубликованном под рубрикой «В помощь пропагандисту» материале «Дело принципиальной важности». Под рубрикой «Партийная жизнь: отчеты и выборы» напечатам очерк редактора газеты «Советский милиционер» В. Дехтяренко «Тот самый Жура...» — о начальнике Новозаводского РОВД г. Чернигова. Вопросам использования ОВД современной техники посвящена статья начальника ГИЦ МВД СССР генерал-майора внутренней службы А. Смирнова.**

# შემთხვევები რომ შემცირდეს

**რესპუბლიკის** გზებსა და მაგისტრალებზე გახშირებულმა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევებმა პრობლემების წინაშე დააყენა ავტოინსპექცია, მთელი საზოგადოება. თითქმის ყოველ მესამე დღეს იღუპება სალ-სალამათი კაცი, სახიჩრდება ათეულობით ადამიანი. სამწუხაროდ გამონაკლისი არც ჩვენი დედაქალაქის გზები და გზაჯვარედინებია. მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან 20 მარტამდე თბილისში 88 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა აღირიცხა, რის შედეგადაც გარდაიცვალა 22 და დაშავდა 107 ადამიანი. ეს მონაცემები კი რამდენადმე აღემატება გასული წლის იმავე პერიოდში მომხდარ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს და მისგან გამოწვეულ მსხვერპლთა რაოდენობას. თუმცა ადამიანთა სიკვდილიანობასა და დასახიჩრებაში პროცენტული შედარებები ნამდვილად არ გამოდგება.

სწორედ გართულებულმა ოპერატიულმა მდგომარეობამ განაპირობა გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება ორთვიურის ჩატარება; რომელიც 1 მარტიდან დაიწყო და 30 აპრილამდე გასტანს. ცხადია ამ მიმართებით ტონის მიმცემი დედაქალაქის ავტოინსპექცია უნდა გახდეს. ასეც მოხდა, გაძლიერდა საგზაო ზედამხედველობა, გახშირდა შეხვედრები და ლექცია-საუბრები მსხვილ წარმოება-დაწესებულებებსა და სატრანსპორტო საწარმოებში.

გასულ კვირას, ნებაყოფლობითი ავტორაზმეულთა საქალაქო შტაბისა და თბილისის სახელმწიფო ავტოინსპექციის ინიციატივით მოეწყო აგიტსვლა თბილისის ქუჩებში, სადაც ავტომანქანებზე დამაგრებული ტრანსპარანტები, პლაკატები, აუწყებდნენ საზოგადოებას, რომ აქტიურად ჩაებან მოძრაობის უსაფრთხოების დათვალიერება — ორთვიურში, დაიცვან ქუჩაში მოძრაობის წესები და სხვა.

ორთვიურთან დაკავშირებულმა ღონისძიებებმა შედეგი გამოიღო. 1 მარტიდან 20 მარტამდე, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვმა და მისგან გამოწვეულმა სიკვდილიანობამ თუ ადამიანთა დაშავებამ საგრძნობლად იკლო. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ამ საქმეში მარტო ავტოინსპექცია ვერას გახდება, თუ საზოგადოებაც არ ამოუდგა მხარში. ამ უკანასკნელის დახმარება კი ნამდვილად სჭირდება შინაგან საქმეთა ორგანოებს. მაგრამ რა დახმარებაზე შეიძლება საუბარი, როცა ორთვიურის დაწყებიდან 22 დღის განმავლობაში 265 მძღოლი თუ ავტომოყვარული იქნა გამოვლენილი, როცა მთვრალი მართავდა ავტომანქანას. სულ 614 სხვადასხვა დანაშაული დააფიქსირეს ავტოინსპექციის მუშაკებმა 22 დღეში. და ვინ არღვევს მოძრაობის წესებს? რა თქმა უნდა საზოგადოების წარმომადგენლები, იმ საზოგადოებისა რომელთაგანაც ჩვენ ასე მოველით დახმარებას.





**რ. ფერაძე,**
**თბილისის სახავტოინსპექციის აგიტაცია-პროპაგანდის ჯგუფის უფროსი, მილიციის მაიორი.**

* * *

**სურათზე:** მომავალი რეიდის გეგმის განხილვისას; რეიდის დროს.

**გ. ბურამიშვილის** ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სწრაფად, ოპერატიულად

# პროფესიული ალღოს დახმარებით

**11 თებერვლის** ღამის 24 საათი სრულდებოდა, განყოფილების სამორიგეო ნაწილში ქ. ონში ბააზოვის ქ. № 39-ში მცხოვრებ გურამ ქოსაშვილის ბავშვები ატირებული მოვარდნენ, ბინა გაგვიქურდესო. უმალვე აწკრიალდა ტელეფონები თანამშრომელთა ბინებში. ოპერატიულ ჯგუფს თვით განყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ვ. ჯაფარიძე ჩაუდგა სათავეში. ამასობაში კი შემთხვევის ადგილზე უკვე გასულიყო იმ დროს განყოფილებაში მყოფი უბნის უფროსი ინსპექტორი პ. ორდინიძე, რომელიც ოპერატიული ჯგუფის მოსვლამდე ბოროტმოქმედის მიერ დატოვებულ შესაძლო კვალს იცავდა.

ოპერატიული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ განყოფილების უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში, მილიციის მაიორი ჯ. ბროლაშვილი, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის მაიორი ნ. გობეჯიშვილი, გამომძიებელი, უფროსი ლეიტენანტი კ. ბუგიანიშვილი, უბნის ინსპექტორები: პ. ორდინიძე და ლ. მესხი, სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებული, კაპიტანი შ. გოგლიძე და ამ სტრიქონების ავტორი დაუყოვნებლივ შეუდგა საქმიანობას. ბოროტმოქმედს, რომელიც, როგორც თოვლზე ნაკვალევით ჩანდა, ერთი უნდა ყოფილიყო, მთლად აერია სახლის ორივე სართული, არაფერი თავის ადგილზე აღარ იყო, აშკარად ჩანდა სხვადასხვა ნივთებით სავსე ჩემოდნები პირველ სართულზე სახლის უკანა მხარეს გასასვლელ კარებთან მიეტანა და რატომღაც ველარ მოეხერხებინა წაღება. პროფესიული თვალით უმალვე მისახვედრი გახდა, უცნობი მეორე სართულის აივნიდან გადმომხტარიყო და თოვლზე ღრმა ნაკვალევი დაეტოვებინა, სადაც აშკარად ჩანდა ფეხსაცმლის თავისებურებანი. სახლის პირველ სართულზე ბოროტმოქმედის მიერ უწესრიგოდ მიყრილ სხვადასხვა საგნებში უცხო სხეულივით ჩანდა მოზრდილი ზომის ლილი, რომელმაც მიიპყრო ოპერატიული მუშაკების ყურადღება. მეპატრონეთა გამოკითხვისას დადგინდა, რომ ლილი მათ არ ეკუთვნოდათ და იგი ამოღებული იქნა, როგორც დამნაშავის სამხილი ნივთმტკიცება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გაირკვა, რომ დამნაშავეს სახლიდან 500 მანეთი ფული და სხვადასხვა სახის ოქროსა და ვერცხლის ნივთები გაეტაცებინა, დაახლოებით 10000 მანეთის ღირებულებისა.

ბოროტმოქმედის დასადგენად შედგა სხვადასხვა ვერსია. ძილგატეხილი მილიციის თანამშრომლები პროფესიულ ალღოს მინდობილნი, გულდაგულ ამუშავებდნენ და ამოწმებდნენ თითოეულ მათგანს. ყველაზე საინტერესო მაინც ლილი იყო, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ქურქის ლილი. ცოტა ფიქრი როდი დასჭირდათ თუ ვის უნდა ჰქონოდა ამგვარი ქურქი და ვინ იკადრებდა მათ შორის ამ დანაშაულის ჩადენას, იყო რაღაც ქვეცნობიერი გრძნობა თუ ინტუიცია, რომელიც მილიციის მუშაკს გამოცდილებით, წლების განმავლობაში სპეციფიური საქმიანობისაგან უვითარდება თუ უმუშავდება. ეჭვი ქ. ონში მცხოვრებ ლ. შ-ზე იქნა მიტანილი. ეჭვმიტანილის ნახვის დროს პირველ რიგში თვალშისაცემი ის იყო, რომ შავ ქურქზე ერთი ლილი აკლდა. ძაფი კი ზედ შერჩენოდა, ამასთან დარჩენილი ლილები იდენტური იყო შემთხვევის ადგილიდან ამოღებულთან. არც ფეხსაცმლის ზომა გამოპარვია მხედველობიდან მილიციის მუშაკებს, ყველა თავისებურებანი ნაკვალევს ემთხვეოდა.

ლ. შ. მაინც უარყოფდა — „ამას მე როგორ ვიკადრებდიო", იფიცებდა ბავშვებს, გარდაცვლილ დედას, მაგრამ ბოლოს აღიარა დანაშაული, რადგან ყველა მისი „ალიბი" მცდარი და დრომოკლე აღმოჩნდა. მალე ისიც გაირკვა, თუ სად ინახავდა იგი მოპარულ ნივთებს, რომლებიც ამოღებული იქნა როგორც ნივთმტკიცება.

**რ. მეტრეველი,**
**ონის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, მილიციის მაიორი.**

# НА БОЕВОМ ПОСТУ

**ГОВОРЯ** спортивным языком, он — «милицейский многоборец». Сотруднику уголовного розыска, чтобы профессионально, грамотно исполнять свои обязанности, нужно овладеть основами многих служб. Именно подобный универсализм отличает работу оперуполномоченного УР



Дманисского РОВД капитана милиции Халида Каралова.

Быстро пролетело 24 года службы. Сегодня он признанный мастер, уважаемый за высокий профессионализм, честность и откровенность. Это человек особого рода. Он замечает то, чего не замечают многие.

Изо дня в день, сталкиваясь со злом, не очерствела его душа. Не растерял он доброту, веру в людей, умение разобраться в них и помочь, предостеречь от неверного шага, предотвратить преступление.

Его труд оценен по достоинству — Х. Каралов награжден медалью в честь 50-летия Советской милиции, медалями трех степеней «За безупречную службу в МВД». с 1972 года является «Отличником милиции». С него берут пример молодые сотрудники. Искренность и доверие к человеку коммунист Каралов считает одним из важнейших условий контакта с каждым, кто приходит к нему посоветоваться.

Люди верят в него, и не случайно Х. Каралов избран депутатом сельского совета. Значит, помимо прочего, он обладает очень важным человеческим качеством—умением говорить с людьми, понимать их, жить их нуждами. И они проникаются трудными заботами оперуполномоченного УР, становятся его опорой в таких важных делах, как предупреждение правонарушений, воспитание уважения к закону, результатом чего и является нормальная оперативная обстановка в обслуживаемой Х. Караловым зоне.

**Н. ФИЛИППОВА,**
**капитан милиции, старший инспектор по делам несовершеннолетних Дманисского РОВД.**

# ВНЕВЕДОМСТВЕННАЯ ОХРАНА УПРАЗДНЕНА

**— Так ли это на самом деле? — спросили мы у генерального директора Тбилисского производственного объединения «Электровозостроитель» Зураба Чивадзе.**

— **СОВЕРШЕННО** верно, — подтвердил Зураб Давидович. — А поводом к упразднению вневедомственной охраны и созданию вместо нее ведомственной военизированной охраны объединения послужил его переход на хозрасчет с января прошлого года.

Проведенные исследования всех финансовых расходов, которые мы несли ранее, показали, что содержание большого штата сотрудников вневедомственной охраны обходилось объединению в довольно крупную сумму, и, находясь в подчинении Ленинского РОВД г. Тбилиси, охрана являлась как бы «человеком со стороны», она не жила интересами коллектива, не подлежала административным воздействиям.

— Раньше содержание каждого ее сотрудника, — говорит Тамаз Шалвович, — обходилось объединению дорого — 145 рублей в месяц. Из них зарплата — 85 рублей. Разница же оставалась в распоряжении районного отделения вневедомственной охраны. Да и штат был слишком раздутым. После реорганизации мы сократили штат. Всем им определена зарплата в размере тех же 85 рублей при 4-часовой работе. Кроме того, в объединении подготовлен приказ, который в ближайшие дни будет утвержден руководством, о выплате сотрудникам ведомственной военизированной охраны 40 процентов ежемесячной премии от оклада. Главное, чего мы добились, — это строгое соблюдение охранниками дисциплины, их заинтересованность в защите имущества своего предприятия. Тем более сейчас, когда в объединении идут реконструкция и его расширение.

**Г. АВАЛИАНИ.**



**ოცი** წელია მსახურობს შინაგან საქმეთა ორგანოებში თეთრწყაროს შს რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი გივი ჩოგოვაძე. კეთილსინდისიერი მუშაობისათვის იგი მრავალჯერაა წახალისებული. დაჯილდოვებულია სამივე ხარისხის მედლით „უმწიკვლო სამსახურისათვის". მას ხშირად ნახავთ განყოფილების უფროსის მოადგილის პოლიტნაწილში, მილიციის უფროსი ლეიტენანტის მ. ქათამაძის სამუშაო ოთახში, სადაც იხილავენ განვლილ დღეს გატარებული ღონისძიებების შედეგებს.

**გ. მგალობლიშვილის** ფოტო.

# დანაშაული აღიარა

**გარდაბნის** შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სამორიგეო ნაწილში უცნობმა პირმა დარეკა და მილიციის მუშაკებს შეატყობინა, რომ კიროვის ქუჩაზე, თავის ბინაში დაჭრეს მოქალაქე, რომელიც ქალს გამოექომაგა. შემთხვევის ადგილისაკენ გაემართნენ ოპერატიული ჯგუფის წევრები მილიციის უფროსი ლეიტენანტის ნ. ისმაილოვის ხელმძღვანელობით. დამნაშავეს უკვე მოესწრო გაქცევა, მაგრამ სულ რაღაც ერთ საათში მაინც შეძლეს მისი შეპყრობა. დამნაშავე აღმოჩნდა ადრე ნასამართლევი ს. კოლუპაევი, რომელმაც აღიარა დანაშაული.

**ლ. კუპატაძე,**
**გარდაბნის შს რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორთა ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.**

# ДЕЙСТВОВАЛИ ОПЕРАТИВНО

**ОДНОЙ** из главных задач работников железнодорожного транспорта является безопасность движения, доставка груза в целости и сохранности по месту назначения. К сожалению, еще находятся люди в нашем обществе, которые способны ради собственной наживы, забыв служебный и гражданский долг, совершить преступление и вовлечь в него других.

Решил за несколько дней разбогатеть и работник технической конторы станции Батуми В. Седов. Однако благодаря оперативным действиям сотрудников милиции «операция» на этот раз не получилась. А было это так... 23 февраля 1989 года на станцию Самтредиа прибыл грузовой состав с контейнерами из Батуми, в которых находились импортные товары. Заметив на одном из контейнеров нестандартную пломбу, самтредские железнодорожники сразу сообщили об этом в линейный отдел милиции ст. Самтредиа.

Срочно была образована оперативная группа под руководством начальника ОУР Грузинского УВДТ полковника милиции Ю. Геладзе, в состав которой вошли начальник Батумского ЛОВД подполковник милиции М. Хомерики, его заместитель подполковник милиции Ю. Русидзе, старший оперуполномоченный ОУР Батумского ЛОВД капитан милиции Д. Бежанидзе, инспекторы дежурной части майор милиции Я. Чхартишвили и лейтенант милиции А. Закариадзе.

После проведения соответствующих оперативно - розыскных мероприятий выяснилось, что с 14 по 22 февраля контейнеры стояли на станции Батуми - товарная. Работник этой станции В. Седов, узнав во время проверки документов, что в контейнерах находятся импортные товары, сообщил об этом своим знакомым, которые и стали впоследствии его сообщниками в совершении кражи.

В течение четырех дней, действуя в ночное время, В. Седов с сообщниками, пользуясь безнадзорностью грузов и халатностью со стороны работников железнодорожной охраны, опустошали контейнер. Завершив «операцию» 21 февраля ночью, В. Седов закрыл и опломбировал двери контейнера случайно найденной пломбой и отправил груз на станцию Самтредиа. Однако воспользоваться краденым преступникам не удалось. Благодаря умелым и оперативным действиям сотрудников милиции по «горячим следам» было задержано 15 человек, у которых было изъятно товаров на сумму 29.000 рублей.

**А. МАЛАЯНЦ,**
**(наш спец. корр.).**
г. Батуми.

* * *

**НА СНИМКЕ:** заместитель Батумского ЛОВД подполковник милиции Ю. Русидзе и заместитель начальника отдела по политической части капитан милиции А. Накашидзе осматривают изъятые у преступников товары.



27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა

# თეატრის მაგიური ძალა

**27 მარტს აღინიშნება თეატრის საერთაშორისო დღე. ქართული თეატრი ახალი გამარჯვებებით ხვდება ამთარიღს. ახლახან ესპანელი თეატრალები მოხიბლა რუსთაველის, მარჯანიშვილისა და მარიონეტების თეატრის ხელოვნებამ.**

**ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სსრ თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს ა. ქუთათელაძეს და რამოდენიმე კითხვით მიმართა მას.**

**პირველ რიგში გილოცავთ თეატრის დღეს. საბჭოთა ადამიანის წლობით დაგროვილი სტერეოტიპების მსხვრევაში, მისი ფსიქოლოგიის გარდაქმნაში დიდ როლს ასრულებს პუბლიცისტიკა, ლიტერატურა და ხელოვნება. მიმდინარე გარდაქმნები შეეხო შინაგან საქმეთა ორგანოებსაც. კერძოდ, რა ზემოქმედება უნდა მოახდინოს მათზე თეატრმა.**

— თქვენ გინდათ მკითხოთ, შეუძლია თუ არა თეატრს შინაგან საქმეთა ორგანოების ავტორიტეტის, თანამშრომლების კულტურული დონის ამაღლება. რასაკვირველია. სწორედ ამისთვისაა მოწოდებული თეატრი, რომელმაც თავისი ემოციური საშუალებებით ადამიანს უნდა გამოუმუშაოს ხელოვნების, ცუდისა და კარგის, საერთოდ ცხოვრების სწორად აღქმის უნარი.

**მაგრამ ამისათვის საჭიროა საინტერესო, მაღალ დონეზე დადგმული სპექტაკლები. შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლების მუშაობისა და ცხოვრების ასახვას კი დრამატურგები და მწერლები რატომღაც გვერდს უვლიან.**

— ჩვენი თეატრის მაღალ დონეზე მთელი მსოფლიოს თეატრალური საზოგადოების შეფასებებიც მეტყველებს, ხოლო რაც შეეხება მილიციის თემას, ამაში გეთანხმებით. მე ადრე რუსთავის თეატრში „ქუქარაჩა" დავდგი. ნ. დუმბაძის ეს ნაწარმოები სხვა თეატრების სცენაზეც გამოჩნდა. ამჟამად თბილისში იგი მხოლოდ მოზარდმაყურებელთა თეატრში მიდის. ეს რასაკვირველია ძალზე ცოტაა. საჭიროა მსგავსი სპექტაკლები, თქვენი თანამშრომლების შეხვედრები თეატრის მოღვაწეებთან. ამის შესახებ ჩვენ ხშირად გვქონდა საუბარი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის (რომლის წევრიც ადრე ვიყავი) სხდომებზე. მაგრამ რა ქნას თეატრმა, თუ არ იქნება მილიციის მუშაობის ამსახველი მაღალმხატვრული პიესა ან სხვა ლიტერატურული ნაწარმოები. თეატრის მოღვაწეებს სხვა არაფერი გვაბრკოლებს.

**კიდევ ერთხელ გილოცავთ თეატრის საერთაშორისო დღეს. მადლობას გიხდით ინტერვიუსთვის და შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლების სახელით ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ქართულ თეატრს.**

— გმადლობთ, მე ქი ვისურვებდი, რომ უფრო ხშირად გვენახა თქვენი თანამშრომლები თეატრში.

ესაუბრა ბ. თათეიშვილი.

* * *



**სურათზე:** შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები რუსთაველის თეატრის სპექტაკლის „მეფე ლირის" დამთავრების შემდეგ ესაუბრებიან სოციალისტური შრომის გმირს, სსრკ სახალხო არტისტს რ. ჩხიკვაძეს და რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ს. ლაღიძეს.

ბ. მგალობლიშვილის ფოტო.

თეთრად გაქათქათებული პალატის კარი ექიმებთან, გოგიტა მოთაძესთან და გიორგი ქათამაძესთან ერთად ხალათწამოსხმულმა ოპერატიულმა მუშაკმა, ვარლამ ცქიფურიშვილმა შემოაღო. წყნარად მიუახლოვდა საწოლს და ფერმკრთალ კალმახელიძეს ნაღვლიანად დააცქერდა.

ავადმყოფი უძრავად იწვა. გადატანილი აუწერელი ტანჯვის კვალი შუბლზე აღბეჭდოდა. ლოყებგაცრეცილს სახე თითქოს სისხლისგან მთლიანად დაცლოდა, გათხელებული ნესტოების ოდნავი თრთოლით თუ შეამჩნევდი დაჭრილის სუსტ სუნთქვას, ისე სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

ავადმყოფმა თითქოს იგრძნო, სულ ოდნავ შეატოკა ქუთუთოები. — თვალის გახელა უნდა და არ შეუძლია, — გადაუჩურჩულა ვარლამმა ექიმებს.

— დიახ, ბევრი სისხლი აქვს დაკარგული და სუსტად არის.

— საშიში ხომ არაფერია ოპერაციის შემდეგ? — შეეკითხა ვარლამი.

— ვფიქრობთ, რომ ყველაფერი რიგზე იქნება, თავდაპირველად ფილტვში გაჩხერილი ტყვია იწვევდა ეჭვს, მაგრამ ახლა ეს საშიშროება უკვე გავლილია. დაძლევს, ახალგაზრდაა და ჯანსაღი, სიცოცხლე გაიმარჯვებს, — ჩურჩულით გამოეპასუხნენ ექიმები. კალმახელიძემ თვალები ნელ-ნელა გაახილა და ვარლამს მიაჩერდა.

— ხომ არ დააკავეთ?

— ჯერ-ჯერობით არა, მაგრამ იმედი გვაქვს მალე მოვიგდებთ ხელში, უკვე ბევრი რამ გარკვეულია, — უპასუხა ვარლამმა და დასძინა, — ნოდარ, ხომ არ იცნობ იმ გარეწრებს?

— არა. ცნობით არ ვიცნობ.

— სახით ხომ არ გახსოვს რომელიმე, ან სურათით თუ შეგიძლია ამოცნობა? — ისევ ჩაეკითხა ვარლამმა.

— კი მგონი სურათით უნდა ამოვიცნო.

— როგორი ტიპები იყვნენ შესახედავად?

— ერთი მაღალი... ქერაა... მეორე დაბალი შავგვრემანია, ეროვნებას ვერ გეტყვით, მგონი ქართველები არ უნდა იყვნენ, ეძებე[illegible] წრო ეთქვა და თვალები [illegible] დახუჭა. დაჭრილი ძილბურანში წავიდა.

ვარლამი ექიმებს დაემშვიდობა და მილიციისაკენ გაეშურა.

## დამნაშავეთა ბუნაგში

**ორჯონიკიძის** სახელობის შახტის კლუბთან სიმონ ცირეკიძეს ვარლამ ცქიფურიშვილი მოუთმენლად ელოდა. ამირან დობორჯგინიძის პიროვნებით დაინტერესებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იგი დაახასიათეს როგორც ყალთაბანდი, გამცდენი, ყომარბაზი და შფოთისთავი, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა საეჭვო ყოფაქცევის პირებთან. ვარლამმა დობორჯგინიძის „მეგობარი" ქალიც დაადგინა და ამ უზნეო ადამიანის ფუქსავატური ცხოვრების სრული სურათიც ჩამოყალიბდა.

ახლა ვარლამი ელოდა სიმონს და გონების თვალით უფროსის დავალების შესრულების შესაძლო ვარიანტებს აანალიზებდა. მალე სიმონიც გამოჩნდა.

— კალმახელიძე ვინახულე, კარგადაა და მალე გამოჯანსაღების პირი უჩანს. მელაპარაკა კიდევაც და იმ ნაძირალების გარეგნობაც ამიწერა. მილიციის უფროსს მოვახსენე ყველაფერი და დავალება მოგვცა, ამიტომ გიხმე ასე სასწრაფოდ. დავალება ფრიად საშურია ხვალ დილამდე უეჭველად უნდა. შევასრულოთ ყველაფერი.

ოპერატიულმა მუშაკებმა სახელდახელო გეგმის მონახაზი შეადგინეს და მუშაობას შეუდგნენ, მთლიანად შეამოწმეს ამირან დობორჯგინიძის კავშირები...

მზის სინათლეზე გამომზეურდნენ ნიკოლოზ გრებიონკინი და ვლადიმერ კურენკო, ევგენია სტოლიაროვა და ვალენტინა ზოტოვა, ალბინა ფლოროვა და ნადეჟდა დანილოვა, გრიგორი პროკოპენკო და ანასტას ალექსანდრიდი.

რაც მთავარია ეს უკანასკნელები გარეგნული აღწერილობით ემთხვეოდნენ კალმახელიძის მიერ აღწერილ პირებს.

●

ბ. აბულაძე

# დამნაშავის სისხლიან კვალზე

(დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" № 10-11-12).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

## Организованная преступность: корни и крона

**ПРОШЛЫМ** летом газеты рассказали о пышных похоронах на Ваганьковском кладбище в Москве. «Коллеги» хоронили «вора в законе». Этот не очень знакомый многим термин обозначает представителей образовавшейся в стране полвека назад преступной касты, живущей по собственным законам, каковыми являются принимаемые на воровских сходках правила поведения.

Во-первых, преступление для «вора в законе» — единственный и основной источник дохода. И немалого: по оценкам специалистов, среднемесячный «заработок» профессионального карманного вора примерно равен ставке профессора.

Во-вторых, существует так называемый общак — своеобразная страховая касса, куда обязаны вносить свою дань все преступники-профессионалы, от мелких воришек до опытных шулеров и вооруженных бандитов. Общак снабжает деньгами тех, кто находится в местах заключения, помогает их семьям на воле и им самим после освобождения.

И наконец, в-третьих, работают преступники-профессионалы не где придется, а лишь в местах, отведенных «коллегами» в сферу их влияния.

Что удивительно, эта почва оказалась способной плодоносить. Лет десять назад на ней взошли первые ростки ультрасовременной преступности, которую по аналогии с Италией и США стали называть мафией. Ее главная отличительная черта, по мнению криминологов, заключается в том, что эта новая, организованная преступность в отличие от породившей ее профессиональной может существовать лишь тогда, когда имеет контакт с представителями власти.

Недавно, например, в Узбекистане была обезврежена банда, возглавляемая неким Анзоровым и состоявшая из четырех десятков головорезов. За три года они совершили 64 тяжких преступления. В состав банды с прочими входил майор милиции, за крупную взятку препятствовавший ее разоблачению.

Сращение преступного мира с органами правопорядка в некоторых регионах страны в недавнем прошлом зашло настолько далеко, что в том же Узбекистане за взяточничество и другие злоупотребления в последние годы были привлечены к уголовной ответственности 98 процентов руководителей областных управлений внутренних дел, бывшие министры внутренних дел республики и их заместители. «Завязаны» с преступниками оказались и другие высокопоставленные лица.

По данным Министерства внутренних дел СССР, в 1986—1988 годах, когда началась активная борьба с организованной преступностью, обезврежены сотни особо опасных групп, орудовавших в сфере экономики. О масштабах их операций говорит такая цифра: при аресте у них были изъяты деньги и ценности на сумму более 350 миллионов рублей.

Сегодня в сферу внимания мафии попали активно создающиеся новые кооперативы. Этой осенью, скажем, у Ярославского вокзала в Москве собралось около пятисот водителей, занимающихся частным извозом. Они ждали назначенной встречи с рэкетерами, которые предъявили ультиматум: по 150 рублей в месяц с машины за «охранную грамоту». Но таксисты не испугались, сплотились, и рэкет не удался.

Конечно, в борьбе с ним нельзя полагаться лишь на сопротивление «снизу». Сейчас во всех территориальных органах Министерства внутренних дел СССР создаются специализированные подразделения по борьбе с организованной преступностью. Разрабатываются также дополнения к законодательству, предусматривающие ужесточение уголовной ответственности за организаторскую преступную деятельность и за участие в преступных сообществах и повышение гарантии правовой защищенности выступающих по этим делам свидетелей.

Но самое главное — устранить источники дохода мафии, связанные с теневой экономикой, преодолеть рецидивы административно-командной системы хозяйствования, ее порождающие. Проводимая сейчас экономическая реформа, при которой производственные отношения должны приобрести в основном рыночный характер, оставляет все меньше возможностей для запланированных хищений и расточительства. Впрочем, и это не исключает полностью возможности появления каких-то форм организованной преступности. Но их можно будет контролировать с самого начала, не повторяя ошибок прошлого.

**Л. СИМКИН,**
**кандидат юридических наук.**
**(АПН)**



„დინამოს" სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირის თასის მორიგი შეხვედრა თბილისის „დინამოსა" და დუშანბეს „პამირს" შორის. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

**სურათზე:** შეხვედრის მომენტი.

# შეხვედრა ჩემპიონთან

**წლეულს** უნდა დამთავრდეს მსოფლიოს XIV ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ფეხბურთში. ამ გრანდიოზული ასპარეზობისადმი სამზადისს მიეძღვნა გუშინდელი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ქალაქ ეინდჰოვენში, სადაც ევროპის ჩემპიონმა ჰოლანდიის ნაკრებმა ვერცხლის პრიზიორი საბჭოთა კავშირის ნაკრები მიიღო.

გუშინდელი შეხვედრა მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. მეექვსე წუთზე ჰოლანდიელებმა გაითამაშეს სამსვლიანი კომბინაცია და ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშემ მარკო ვან ბასტენმა თავური დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

საბჭოთა ფეხბურთელებსაც ჰქონდათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი (განსაკუთრებით მეორე ნახევარში), მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხეს. 85-ე წუთზე ჰოლანდიელთა კაპიტანმა რუუდ გულიტმა უკან ჩამოიტოვა მცველები და პირისპირ დარჩა რინატ დასაევთან. ჩვენმა მეკარემ წესი დაარღვია და რონალდ კუმანმა ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო — 2:0.

**ОБЪЯВЛЕНИЕ**

**31 МАРТА 1989 года в 18 часов в ДК им. Ф. Э. Дзержинского МВД ГССР состоится благотворительный концерт коллективов художественной самодеятельности Дома культуры.**

**Сбор от концерта будет перечислен на счет Армянской ССР — пострадавшим от землетрясения.**

ინდექსი 66639
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72;
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 99-1-41-24.
რედაქტორი ა. კობალაძე
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
უე 00215